# ხაშურის მოამბე

№48(372) 13 დეკემბერი, სამშაბათი, 2022 წელი


## ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობისთვის სამუშაოები იწყება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია "JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S." - ს შორის ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის დარბაზში გაიმართა, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში მიხეილ შაყულაშვილი, რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ალექსანდრე თევდორაძე.

პროექტი საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება და წყალმომარაგების ქსელისა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობას ითვალისწინებს. ხელშეკრულების ღირებულება 146 მლნ. ლარს შეადგენს.

2023 წლის დასაწყისში გამოცხადდება ტენდერი წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, რეზერვუარის, სატუმბი სადგურებისა და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით. წყალმომარაგების მიმართულებით სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2025 წლის ბოლოს, რის შემდეგ ხაშურის 24 000 ბენეფიციარი ისარგებლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 24 საათიანი წყალმომარაგებით.

წლის დასაწყისში დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობასთან დაკავშირებით. ჯამურად ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე 225 მლნ ლარი დაიხარჯება.

- ვერთიანდებით ძალადობის წინააღმდეგ -

## მამაკაცები მტკივნეულ საკითხებზე მსჯელობენ

ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა შეხვედრა - „მამაკაცები ზრუნავენ", რომელსაც ესწრებოდნენ მამები, რომლებსაც ჰყავთ გოგონები. შეხვედრის მოდერატორმა - ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ზვიად გოგუაძემ ისაუბრა იმ კვლევებზე და სტერეოტიპებზე,როგორიცაა ქონებრივი საკითხები,პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების განაწილება.

მამებმა - ჟურნალისტებმა, სპორტსმენებმა, პედაგოგებმა, იურისტებმა ისაუბრეს შვილებთან ურთიერთობის მაგალითებზე. გაიმართა საინტერესო დისკუსია გენდერული თანასწორობის საკითხებზე, თუ რა არის საჭირო ოჯახში მზრუნველი და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად.

ჟურნალისტმა ლადო გოგოლაძემ საზოგადოებას გაუზიარა „მამების კლუბის" გამოცდილება და აღნიშნა, რომ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საჭიროა ბევრი ასეთი დიალოგი და ჩართულობა.

## საჩუქრები პატარებს!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები, მეორე სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის ბენეფიციარებს ესტუმრნენ და საჩუქრებით გაახარეს.

„ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „მომავლის სახლის" პატარების კონცერტს დავესწარით, მათი ხელით შექმნილი გამოფენა ვნახეთ, არაერთი საინტერესო ნივთიც შევიძინეთ და საჩუქრებითაც გავახარეთ, ამჯერად კი „დღის მოვლის ცენტრს" ვესტუმრეთ.

მნიშვნელოვანია ამ ადამიანებზე ზრუნვა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართვა. მუნიციპალიტეტის მერიას აქვს შესაბამისი პროგრამები და ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი გავაკეთოთ ამ მიმართულებით" -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

დღის მოვლის ცენტრის ხელმძღვანელებმა მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას და აღნიშნეს, რომ ასეთი მხარდაჭერა, პატარების სოციალიზაციას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

# ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობა

ქარსაფარი ზოლების გაშენების ისტორია ასეულ წლებს ითვლის. მათი მთავარი დანიშნულება იყო ქარის სიძლიერის კოეფიციენტის შემცირება, ასევე გამოიყენებოდა თოვლიანი ქარბუქების წინააღმდეგ.

მოგვიანებით ნათელი გახდა,რომ ქარსაფარი ზოლების მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა იზრდება,ამასთან,მცირდება ნიადაგის ეროზია.

აღსანიშნავია, რომ ქარსაფარი ზოლების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს 21 - ე საუკუნეში.

საქართველოში, როგორც მცირემიწიან ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების ზრდა შეზღუდულია, ამიტომ მნიშვნელოვანია საჰექტარო მოსავლის ზრდა.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში დიდი როლი მიუძღვის ქარსაფარი ზოლების არსებობას,რადგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ ძირითად რეზერვად ითვლება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის აღკვეთა და ქარებისა და გვალვების მავნე ზემოქმედების შემცირება.

საქართველოში ძლიერი ქარების მოქმედებით ხშირია დამუშავებული ნიადაგების გამოშრობა და ჰუმუსიანი ფენის გადახვეტა, რის გამოც იღუპება ნათესები.

ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობა

- ამცირებს ქარის სიჩქარესა და ნიადაგის ეროზიას;
- იცავს ქარისადმი მგრძნობიარე მცენარეებს;
- ამცირებს მოსავლის დანაკარგს;
- ცვლის მიკროკლიმატს, გავლენას ახდენს ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურაზე (დაცულ ადგილას ნიადაგის ტემპერატურა შესაძლოა რამდენიმე გრადუსით მეტი იყოს ვიდრე დაუცველში);
- ზრდის ტენის ოდენობას;
- ასრულებს ეკოლოგიური დერეფნის როლს, ქმნის საცხოვრებელს სასარგებლო მწერებისა და ფრინველებისთვის;
- აუმჯობესებს საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს სახლის გარშემო და ფერმაში;
- ამცირებს ცხოველების სიკვდილიანობას ცივ პერიოდში;
- ცხოველებისთვის საჩრდილობელს წარმოადგენს ცხელ ამინდში;
- ქმნის დამატებით საკვებს ადამიანებისათვის (ხეხილი და კენკრა);
- იძლევა დამატებით საკვებს ცხოველებისთვის (ჩამოცვენილი ნაყოფები, ნასხლავი და სხვ.);
- მცენარეების უმეტესობა თაფლოვანია, ამიტომ წარმოადგენს ნექტრის წყაროს ფუტკრისთვის;
- ამცირებს ხმაურს, იცავს გარემოს დამაბინძურებლებისაგან (მტვერი, გამონაბოლქვი);
- ასრულებს ღობის ფუნქციას.

ქარსაფარი ზოლების გავლენით მატულობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. მაგალითად ხორბლოვანების მოსავლიანობა დაცულ ფართობებზე სხვადასხვა კლიმატური პირობების შესაბამისად იზრდება 20-დან 45%-მდე დაუცველთან შედარებით.

## ქარსაფარი ზოლების სტრუქტურა და დიზაინი

არ არსებობს ქარსაფარის უნივერსალური ტიპი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტული ლანდშაფტის, არსებული კულტურებისა და კლიმატური პირობების შესაბამისი ქარსაფარის დაგეგმვა.

ამრიგად ქარსაფარის ფორმა და სტრუქტურა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ ნაკვეთზე, გაშენებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და კლიმატურ პირობებზე.

ქარსაფარების დიზაინი მოითხოვს მის შემადგენლობაში გამოყენებულ იყოს სხვადასხვა სახეობის ხე - მცენარე ზრდის სხვადასხვა ტემპებით, რაც უზრუნველყოფს ვარჯის შეკრულობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სასურველია, სახვადასხვა რიგებში მონაწილეობდეს ფოთლმცვენი და მარადმწვანე სახეობები, აგრეთვე, ბუჩქები, რაც განაპირობებს ქარსაფარის ფუნქციონირებას მთელი წლის განმავლობაში.

ქარსაფარები სტრუქტურულად არის ქარგაუმტარი (მკვრივი), ნახევრად ქარგამტარი (აჟურული) და ქარგამტარი.

ქარგაუმტარი ზოლი მთლიანად შეკრული, მკვრივი ნარგაობაა, რომელშიც ჰაერის ნაკადი ვერ გადის (ან გადის ძალიან სუსტად). საშუალო სიძლიერის ქარის დროს ასეთი ზოლის შიგნით იქმნება სრული სიმყუდროვე. გარეგნულად ქარგაუმტარ ზოლში სინათლე არ გადის, იგი შეფოთლილ მდგომარეობაში მთლიანად მწვანე კედელია.

ნახევრად ქარგამტარი – აჟურული სტრუქტურის ქარსაფარი ზოლი უფრო ნაკლებად შეკრულია,ვიდრე ქარგაუმტარი,რის გამოც საშუალო სიძლიერის ქარი მასში გადის ისე,რომ მისი სიჩქარე თუმცა კლებულობს,მაგრამ ინარჩუნებს თავის ძირითად მიმართულებას. გარეგნულად აჟურული სტრუქტურის ქარსაფარის მთელ პროფილზე სინათლის გამონაშუქები დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული. ასეთი სტრუქტურის ქარსაფარი, ქარგაუმტართან შედარებით ქარს უფრო თავისუფლად ატარებს და ზოლთან იქმნება ჰაერის ნაკლები ზეწოლა, რაც ქარის სიჩქარეს უფრო ნაკლებად ამცირებს.

ქარის სიჩქარის ყველაზე მეტი შემცირების ზონა შემჩნეულია ზოლის საქარო მხრიდან 3-4 მანძილზე ( – ქარსაფარი ზოლის სიმაღლე). ასეთი ზოლის შიგნით ქარის ნაკადის სიჩქარე კლებულობს 40%-მდე. ზოლიდან გასვლის შემდეგ ქარის სიჩქარის კლება კიდევ გრძელდება. აქ მყუდრო ზონა ვრცელდება 5 – 10 მეტრ მანძილზე,შემდეგ კი ზოლის სიმაღლის 10-15 ჯერადი მანძილიდან იწყება ქარის სიჩქარის არა მკვეთრი, არამედ თანდათანობით მატება და ზოლიდან 25 მეტრ მანძილზე (ეს მანძილები უნდა გამრავლდეს ქარსაფარი ზოლის სიმაღლეზე) ქარის სიჩქარე უკვე აღწევს საწყისი სიჩქარის 85%-ს. ამ მანძილის შემდეგ ქარი აღიდგენს იმ სიჩქარეს,რაც მას ღია მინდორზე ჰქონდა.

აჟურული ქარსაფარი უფრო კარგი დამცავია მინდვრების,ვიდრე ქარგაუმტარი.

რაც უფრო ვშორდებით ქარსაფარ ზოლს, მით უფრო ნაკლებად დაცულია მინდვრები. ამიტომ ქარსაფარ ზოლებს შორის მანძილების დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მათი მოწყობისას.

ქარგამტარი სტრუქტურის ქარსაფარი – ისეთი ზოლია,რომელიც ატარებს ქარს, ამასთან ასეთ ზოლს აქვს სინათლისა და ქარის გამტარი უფრო დიდი ზომის ფანჯრები. ასეთ ზოლებს არ აქვთ ქვეტყე და ზოლის ქვედა ნაწილში ქარი გადის შიშველ ღეროებს შორის.

ქარსაფარი ზოლების მოწყობისას საჭიროა გაშენდეს მთავარი და დამატებითი ზოლები. მთავარი ზოლების გაშენება ხდება ქარის მიმართულების მართობულად, ხოლო დამატებითი – მთავარი ზოლის პერპენდიკულარულად და ქარის მიმართულების გასწვრივ.

ქარსაფარების გაშენების დაგეგმვისას სასოფლო-სამეურნეო ნარგაობების დაჩრდილვის თავიდან ასაცილებლად მანძილი ქარსაფარი ზლიდან საშუალოდ 8-10 მ უნდა შეადგენდეს.

## ქარსაფარი ზოლების მოწყობა საქართველოს პირობებისთვის

ქარების სიძლიერისა და ხასიათის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები იყოფა სამ ჯგუფად:

- I ჯგუფის რაიონები, სადაც გაბატონებულია ძალიან მძაფრი ქარები;
- II ჯგუფის რაიონები ძლიერი ქარებით;
- III ჯგუფის რაიონები ნაკლებად ძლიერი ქარებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება I ჯგუფის რაიონებს

აქ რეკომენდებულია ხისა და ბუჩქის შემდეგი სახეობების გაშენება:

მდინარეების აუზში და სარწყავ ფართობებზე ძირითად ზოლებში - ალვის ხე, კანადური ვერხვი, ევროპული ნაძვი, გრძელყუნწა მუხა, თელა, ნეკერჩხალი, მინდვრის ცაცხვი, იფანი. განივი ზოლებისთვის დამატებით – თუთა, კაკალი, პანტა, ქვეტყის შემქმნელი სახეობებიდან – შინდი, ჯონჯოლი, ტყემალი, ხოლო განაპირა ზოლებისთვის ფშატი.

ურწყავ ფართობზე ძირითადი ზოლებისათვის წამყვანი სახეობებია: ქართული მუხა, თელა, მინდვრის ნეკერჩხალი. განივი ზოლებისთვის დამატებით თუთა, და პანტა; ქვეტყის შემქმნელი სახეობებიდან როგორც ძირითად ასევე განივ ზოლებში დასაშვებია – შინდი, ზღმარტლი, ტყემალი; ნაპირებზე – ფშატი და ბერყენა.

ქარსაფარი ზოლები უნდა გაშენდეს 2 წლით ადრე კულტურების გაშენებამდე.

ქარსაფარი ზოლების მოწყობის კონსტრუქცია:

- მცენარეთა შორის მანძილი: 1,5 მ (ვიწროვარჯიანი) – 2,0 მ;
- რიგებს შორის მანძილი: 1.5 ; 2.0 ; 2.5 მეტრი;
- ზოლების რაოდენობა: 2 – 4 – 6 – 8 ზოლი.

ქარსაფარი ზოლების გაშენებისთვის და ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის, მცენარეების სპეციფიური შერჩევის გარდა (იგულისხმება ნიადაგური და კლიმატური პირობები), აუცილებელია ნიადაგის წინასწარი დროული დამუშავება, რაზედაც დამოკიდებულია ნარგაობის გახარება, კარგი ზრდა და ქარებისგან სწრაფი დაცვა.

წიწვოვან მცენარეთა დარგვა ქარსაფარ ზოლებში რეკომენდებულია ძირითადად გაზაფხულზე, შემოდგომით დარგვა დასაშვებია ნიადაგის მაღალი ტენიანობის პირობებში. ფოთლოვანი სახეობები ირგვება როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე.

---

მასალა მომზადებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლების მიერ

## 2027 წლამდე ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა სრულად რეაბილიტირებული იქნება.

საზოგადოებისთვის ცნობილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივა "800 სკოლის რეაბილიტაციის" პროგრამის შესახებ. ხაშურის მუნიციპალიტეტის რომელ საჯარო სკოლებს შეეხება აღნიშნული სიახლეა, გვესაუბრება ხაშურის მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის უფროსი, ზვიად გოგუაძე:

-ღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე 2023 წლიდან განხორციელდება გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის №6 საჯარო სკოლის, ლესია უკრაინკას სახელობის დაბა სურამის №3 საჯარო სკოლის, სოფელ ოსიაურისა და სოფელ ხცისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია გარდა ამისა, ენერგოეფექტურობის პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სკოლების ნუსხაშია ქალაქ ხაშურის №3,№5,№7№8,სოფელ ალის,ცხრამუხისა და გომის საჯარო სკოლები. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო იზრუნებს ქალაქ ხაშურის №4 და სოფელ ნაბახტევის საჯარო სკოლების მშენებლობაზე 2023 წლისთვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ რემონტდება ხაშურის №2 და სურამის №2 საჯარო სკოლებიც. წინ საკმაოდ მოცულობითი სარეაბილიტაციო სამუშაოები გველოდება,რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა და სერიოზულ მენეჯმენტს მოითხოვს,მაგრამ შედეგი იქნება ჩვენი მოსწავლეების ევროპული სტანდარტების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

## შეხვედრა მეწარმე ქალბატონებთან

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, საკრებულოს დარბაზში, ხაშურელ მეწარმე ქალთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენა გახსნა საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ხაშურის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა მაკა დიდებულიძემ,რომელმაც მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა მეწარმე ქალები. ისაუბრა გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებზე ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და

მეწარმეობის ხელშეწყობისთვის.

წარმოდგენილი იყოს „ხემსის", „დოშკანას", „ნატუსის", „მკერვალის", „მომავლის სახლის"„ჩოკოლატლის"„დევდარიანის მარნის"ᲛᲐᲓᲐ ᲑᲘᲠᲙᲐᲫᲘᲡ ხელნაკეთი თოჯინების, აგრეთვე „პროგრამა „აწარმოე საქართველოში" გამარჯვებული ხათუნა ჩიტაძის (სოციალური სამკერვალო სახელოსნო), ნანა ლომსაძისა (ქართული დოლის პური) და ქეთევან გიგოლაშვილის (პოლიმერული თიხა) წარმოებული მრავალფეროვანი პროდუქცია. ქალებმა ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებასა და სამომავლო გეგემებზე.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დამწყები ახალგაზრდა მეწარმე

ქალების ნაწარმმა.

„დღევანდელი გამოფენა-გაყიდვის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი მეწარმე ქალების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას,ურთიერთობების გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებას. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ყოველთვის მზადაა დაეხმაროს ქალებს, რათა უფრო მეტმა მათგანმა შეძლოს წარმატების მიღწევა" -აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა.

## ხაშურში, თავდადებულის ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

„აღნიშნული შენობა ბორჯომისა და თავდადებულის ქუჩების კვეთაზე მდებარეობს და ათწლეულების განმავლობაში, რეაბილიტაცია არ ჩატარებია. მსგავსი ტიპის შენობების რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების პირობების გაუმჯობესების, ისე ქალაქის იერსახის გალამაზების მიზნით. „განახლებული რეგიონების

ფარგლებში" ქალაქის ცენტრში არსებული შენობების ფასადები უკვე მოპირკეთდა და ვფიქრობ,ბევრად უფრო ლამაზია ხაშური. ამჯერად კი

ასეთი ტიპის საცხოვრებლებზე ადგილობრივი ძალებით ვზრუნავთ"- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა.

პროექტის ფარგლებში, ხორციელდება ფასადის შეღებვა, იცვლება ფანჯრები, სახურავი.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ღირებულება 105 846 ლარს შეადგენს.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4, 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28, 29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47)

# ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

1948წლის პირველი კვარტლის მაჩვენებლებით ხაშურელი მელოკომოტივეები პირველ ადგილზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის რკინიგზაზე და საკავშირო პროფსაბჭოს და გზათა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს

. 1947 წელს რკინიგზის ტრანსპორტზე თავდადებული და ხანგრძლივი მუშაობისთვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მთავრობის ჯილდოებით 7775 მემანქანე და მემანქანე-ინსტრუქტორი დააჯილდოვა. მათ შორის იყვნენ ხაშურელი რკინიგზელებიც. საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოვდნენ ელმავლის მემანქანეები ნ. დ. ტყეშელაშვილი და ს. გ. ჩიტიაშვილი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ გ. ვ. კვლიშვილი, ვ. ე. კიკნაძე, ა. ა. მანჯავიძე, კ. ს. მოწონელიძე, ა. გ. ნემსაძე. გ. მ. რიჟამაძე, ს. ა. ხვედელიძე, ს. ს. ელიაშვილი და ვ. ნ. ფრანჩუკი. მედლით „შრომითი წარჩინებისთვის“: კ. რ. გველესიანი, გ. ი. აბაიაძე, ა. ს. ძინძიბაძე, ქ. ვ. დიდებულიძე, შ. ს. კაპანაძე, ს. ი. კიკაძე. ა. კ. ნადირაშვილი, პ. ე. ნოზაძე. ა. კ. ფცქიალაძე. ა. პ. ჩაჩანიძე, ა. ი. ჭყოიძე, მ. შიუკაშვილი, ორთქლმავლის მემანქანეები ნ. ა. თიკანაძე, ი. გ. ბაქრაძე, გ. ი. ნადირაშვილი, პ. გ. გომარელი, ა. მ. სინაგუბოვი, ს. ე. ბათიევი და გ. ვ. ცერცვაძე.

60-იანი წლებიდან ქალაქის ცხოვრებაში რკინიგზის ტრანსპორტის გვერდით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საავტომობილო ტრანსპორტი. 1957 წლის იანვარში შეიქმნა ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელშიც თავმოყრილი იქნა ყველა სახეობის ავტომანქანა. თავდაპირველად საწარმოს ავტოპარკი აერთიანებდა 14 მანქანას, აქედან ორი სატვირთო იყო. შემდგომ წლებში თანდათან საგრძნობლად გაიზარდა საწარმოოს ავტოპარკი.

1958 წელს საწარმო ფლობდა 40 ავტომანქანას. 1959 წელს – 62; 1961 წელს – 101; 1962 წელს – 196; 1964-225; 1966-203; 1967-176; 1969-205; 1970-154; 1971-131; 1972-135 და ა.შ. 1969 წლის ივლისში ავტოსატრანსპორტო საწარმოს გამოეყო სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო. თავდაპირველად საწარმო აერთიანებდა 50 მსუბუქ ავტომობილს და 57 ავტობუსს. შემდგომ წლებში საწარმოს ავტოპარკი საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა. ემსახურებოდა მგზავრთა, როგორც რაიონის შიგნით, ასევე სარაიონთაშორისო ტრანსპორტირებას. 1976 წლის მაჩვენებლებით ხაშურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმომ 1937,2 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდა, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმომ კი 15368,4 ათასი მგზავრი გადაიყვანა.

80-იანი წლებისთვის სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოების გაერთიანება მოხდა და ჩამოყალიბდა ავტოსატრანსპორტო გაერთიანება. გაერთიანების შრომითმა კოლექტივმა ორგზის, 1981 და 1984 სამეურნეო წლების შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის მოიპოვა საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცკ-ის გარდამავალი წითელი დროშა. ხაშურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი 1983 წლის სამეურნეო შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის დაჯილდოვდა საქ. სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო 1984 წლის შედეგების მიხედვით მიენიჭა „წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს“ საპატიო სახელი და გადაეცა ვიმპელი.

1980 წელს სატრანსპორტო გაერთიანებამ 9 256 ათასი მგზავრი გადაიყვანა, 1981 წელს – 9 104 ათასი; 1982 წელს 9 417 ათასი, 1983 წელს – 8 527 ათასი, 1984 წელს – 9 191 ათასი, ხოლო 1985 წელს 10 045 ათასი.

ამავე პერიოდში გაერთიანებამ გადაზიდა 1980 წელს – 3 100 ათასი ტონა ტვირთი, 1981 წელს – 3088 ათასი ტონა, 1982 წელს – 3137 ათასი ტონა, 1983 წელს – 3409 ათასი ტონა, 1984 წელს - 3695 ათასი, 1985 წელს კი - 4500 ათასი ტონა.

60-იანი წლებიდან ქალაქში სწრაფად იწყო განვითარება სამშენებლო სფერომ.

ომის შემდგომ წლებში სათანადო ყურადღება მიექცა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 40-იანი წლების მეორე ნახევარი, 70-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების დასაწყისი. 1942 წლიდან ხაშურის რაიონის ხელმძღვანელი იყო ცნობილი პარტიული და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ფოფხაძე, რომელმაც ომის დამთავრების შემდეგ დიდი ყურადღება მიაქცია ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს. 1947 წელს გაიხსნა კულტურისა და დასვენების პარკი, აქვე 1949 წელს აიგო ქალაქის კულტურის სასახლე. 1950 წელს მწყობრში ჩადგა ქალაქის ფეხბურთის სტადიონი და სხვა. 1962 წელს გაიხსნა ახალი კინოთეატრი „რუსთაველი“, რომელიც მანამდე ჯაფარაშვილების ძველი შენობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული.

1963 წელს დამთავრდა სასტუმრო „ივერიის“ მშენებლობა.

1967 წელს აიგო ახალი სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, მის გვერდით მომდევნო წლებში ააშენეს კავშირგაბმულობის ოთხსართულიანი შენობა. თანდათან ყალიბდებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის იერსახე, რომელმაც საბოლოო სახე 80-იან წლებში მიიღო.

70-იანი წლების ბოლოს ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს დიდი ყურადღება მიაქციეს რაიონის ხელმძღვანელებმა ჯერ ლევან დათიაშვილმა, შემდეგ კი ირაკლი ჯიქურაშვილმა.

მათი რაიონში მოღვაწეობის პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი, ქალაქისთვის მეტად პრობლემატური საკითხის გადაწყვეტა მოხდა. დიდი ყურადღება მიაქციეს ხაშურის იერ-სახეს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ზემო სერზე საბავშვო რკინგზის მშენებლობა.

ხაშურის ეკონომიკურ დაწინაურებაში მთავარ ფაქტორს ადამიანი ასრულებდა. ხაშურელები წარმატებით ართმევდნენ თავს ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას და მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის აღმშენებლობაში. ქვეყნის უმაღლესი ჯილდო – ლენინის ორდენი დაიმსახურეს გიორგი აბაიაძემ (1912-1976), გიორგი აბუაშვილმა (1896-1979), არჩილ ავდიშევმა (1899-1987), გიორგი ამაშუკელმა (1913-19), ვასილ არჯევანიძემ, სიმონ ბათიაშვილმა (1911-1986), ილია ბარბაქაძემ (1899-1988), ალექსი ბარანოვსკიმ (1906), ილია ბეროზაშვილმა (1901), ტერენტი ბლიაძემ (1908-1967), ნიკოლოზ გელაშვილმა (1899-1983), გიორგი გამგონიძემ (1904-1988), ვასილ გაფრინდაშვილმა (1894-1975), გიორგი გელაშვილმა (1907); გიორგი გიორგაძემ (1890-1977), გრიგოლ გოგოლაძემ (1913), შალვა გურეშიძემ (1907-1990), ალექსანდრე ბლუაშვილმა (1905-1988), ვიქტორ ვეფხვაძემ (1894-1987), ვიქტორ ზანიერმა (1905-1974), მიხეილ თავდიშვილმა (1908-1975), ალექსანდრე თევზაძემ (1906), გერასიმე თომაძემ (1904-1978), შაქრო თოფურიამ (1899), შალვა კაპანაძემ (1909-1980), გიორგი გელაშვილმა (გარდ.1980), სიმონ კიკაძემ (1907-1977), ვლადიმერ კიკნაძემ (1914-1989), კიმოთე კიკნაძემ (გარდ.1984); პავლე ლაბაძემ (1905-1982), კირილე ლაბაძემ (1891-1984), ილია ლაბაძემ (1926-1983), ალექსანდრე მანჯავიძემ (1904-1980), ლავრენტი მანჯგალაძემ, ხარლამპი მიხაილიდმა (1913-1979), გიორგი მეტივიშვილმა (1903-1984), დიანოზ მუმლაძემ (1892-1969), ირაკლი მჭედლიძემ (1904), ივანე ოშხნელმა (1898-1975), თედორე პავლაძემ (1903-1997), გიორგი რიჟამაძემ (1905-1975), ოთარ რობაქიძემ (1926-1990), კონსტანტინე სარალიძემ (1905-1980), ივანე სახვაძემ (1905-1975), ნიკოლოზ ტაბატაძემ, ნიკოლოზ ტყეშელაშვილმა (1902), აქვსენტი ფცქიალაძემ (1903-1977), იასონ ქალიაშვილმა (1905-1987), ილია ქურდაძემ, სერგო ღამბაშიძემ (1905-19 ), პავლე ყიფიანმა, მიხეილ ყიფიანმა (1902-1989), გიორგი შუბითიძემ (1904), არჩილ ჩაჩანიძემ (1901-1986), სერგო ჩიტიაშვილმა (1887), გრიგოლ ცერცვაძემ (1910-1989), ნიკოლოზ ცინაძემ (1897-1977), ანტონ ძინძიბაძემ (1900-1985), სიმონ ხვედელიძემ (1900-1977), ალექსი ხიჩაკაძემ (1904-1989), არსენ ხმალაძემ (1924-1996), გიორგი ხუჯაძემ (1908-1977).

საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებით აღინიშნა შოთა აბრამაშვილის (1922-1985), გიორგი ბარბაქაძის (1920-1989), გიორგი ლობჟანიძის (1916-1992), მიხეილ მაჭარაშვილის (1925-2004), კირილე ნოზაძის (1922-1993), შალვა ოდილაძის (1915), ალექსანდრე პაიჭაძის, გრიგოლ სახვაძის (1907-1978) და სხვათა მუშაობა.

საქართველოს დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება მიენიჭათ ვახტანგ გამგონიძეს, სერგო დევდარიანს (1919, იყო ლენინის ორდენოსანიც), ალექსანდრე ინასარიძემ (1915-1994), ოთარ კობალაძეს (1926-1985), ვლადიმერ კორკოტაძეს (1926-1981), შალვა რუხაძეს (1915-2001), შოთა ხაჩიძეს (1925-1998) და სხვებს.

საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება დაიმსახურეს გიორგი აბიაშვილმა (1910-1986) მას მიღებული ჰქონდა აგრეთვე ლენინის ორდენი), ვლადიმერ ელისაშვილმა (1912-1988), ალექსანდრე ზაზიკაშვილმა (1911-1985), ალექსანდრე ლეჟავამ (1906-1975), ლუარსაბ მაღრაძემ (1914-1975), ალექსანდრე ღონღაძემ (1906-1986) და სხვებმა.

საქართველოს ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიიღეს: დავით ბადურაძემ (1914), გრიგოლ ბურნაძემ (1908-1986), დიმიტრი გერმანაშვილმა (1917-1981), გივი კაპანაძემ (1928-1991), იასონ ნემსაძემ (1916), გიორგი რევაზიშვილმა (1905-1982), ნოდარ ქურდაძემ (1929-1977), შოთა ჩადუნელმა (1929-1994), ოთარ ჭადაშვილმა (1925) და სხვებმა.

საქართველოს კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა ლევან გიგუაშვილს (1926-1981), ბორის გოგოლაძეს (1926).

## განათლება, კულტურა, მედიცინა და სპორტი -ხაშურში საბჭოთა ხელისუფლების წლებში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რაიონებში სათანადო ყურადღება მიექცა განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის განვითარებას. მართალია, ახალი ხელისუფლება თავის ინტერესებს ითვალისწინებდა ზემოთადნიშნულ დარგებში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერმა დარგმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე 1921 წლის სექტემბრიდან დაიწყო სახალხო განათლების სფეროში ცვლილებების განხორციელება. რეფორმა საშუალო განათლების სფეროში სკოლათა სამ ძირითად ტიპს ითვალისწინებდა: დაწყებით სკოლას, რვაწლიან სკოლას და ტექნიკუმს. დაწყებითი სკოლა ოთხწლიანი იყო. რვაწლიანი სკოლა შედგებოდა ორი საფეხურისგან I–IV კლასები (ჯგუფები) და V–VIII კლასები (ჯგუფები). საშუალო განათლების საფუძველს რვაწლიანი სკოლა წარმოადგენდა და ხორციელდებოდა სოციალურ-ჰუმანიტარული ტექნიკუმების საშუალებით, სადაც სწავლების ვადა ოთხწლიანი იყო.

1921 წლის აგვისტოსთვის ხაშურში იყო 7 დაწყებითი და 2 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი.

რეფორმის შემდეგ, 1921-1922 სასწავლო წელში ხაშურში გიმნაზიის ბაზაზე შეიქმნა ჰუმანიტარული ტექნიკუმი. რკინიგზის უმაღლესი დაწყებითი სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბდა შრომის I, II და III შვიდწლიანი სკოლები, ზემო ჭალის სკოლა გადაკეთდა შვიდწლიან IV სკოლად. იყო V შვიდწლიანი სკოლა, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

1922 წლისთვის ხაშურში 6 მთლიანი შრომის სკოლა იყო. ეს მაშინ როდესაც გორში იყო 4, სურამში – 1, ცხინვალში – 1, მეჯვრისხევში – 1. ამავე დროს საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1924 წლის აგვისტოსათვის გორის მაზრაში არის ორი ცხრაწლედი – ხაშურსა და გორში.

ეს ფაქტი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ხაშურში სათანადო ყურადღება ექცეოდა განათლების სფეროს.

1924-1925 სასწავლო წლიდან ხაშურის ჰუმანიტარული ტექნიკუმი გაუქმდა. 1924 წლის 18 ივლისს ტექნიკუმის გამგეს ი. ფერაძეს აცნობებდნენ: „თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიის ა.წ. 19 ივნისის დადგენილებისა, თქვენდამი რწმუნებული ხაშურის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში დარჩენილი კლასები მომავალი 1924-1925 სასწავლო წლიდან უნდა შეუერთდეს ადგილობრივ 9 - წლიან შრომის სკოლას. ამნაირად ზემოაღნიშნული ხაშურის ჰუმანიტარული ტექნიკუმი ა.წ. სექტემბრის 15-დან გაუქმებული იქმნება“.

1924 წლის 13 მარტისთვის ტექნიკუმის შტატში 9 მასწავლებელი იყო. მოსწავლეთა რაოდენობა 265, აქედან ვაჟი – 177, ქალი – 88. ამ წელს ჰუმანიტარული ტექნიკუმი 112 კაცმა დაამთავრა – 69 ვაჟმა და 43 ქალმა.

ტექნიკუმის შვიდწლედი დაამთავრა 25, აქედან ვაჟი იყო 23, ქალი – 2; ზემო ჭალის (იგივე ქალაქის IV) შვიდწლედი დაასრულა 24 კაცმა (10 ქალი და 14 ვაჟი).

9 – წლიანი შრომის სკოლა 1926 წლიდან კოპერატიული განხრიანი იყო.

1927 წელს რკ. IV შრომის სკოლა 113 მოსწავლით რკ. I შრომის სკოლას შეუერთდა.

ამ დროს ხაშურში ფუნქციონირებდა პროფსკოლა, რომელშიც ჭრა-კერვას ასწავლიდნენ.

ხაშურის სკოლების შემადგენლობა ასეთი იყო:

20-30-იან წლებში, ხაშურში, ერთადერთი საშუალო სკოლა -9 წლიანი შრომის სკოლა (დღევანდელი I საშუალო სკოლა) იყო: „...ხაშურის 9 - წლედი არის ცენტრალური სასწავლებელი, - აღნიშნავდა სკოლის დირექტორი ი. ფერაძე, - რომელშიც შემოდიან ხაშურის I-II-III რკინიგზის შვიდწლედების მოწაფენი, ზემო ჭალის, სურამის და ბორჯომის შვიდწლედთა მოსწავლენი, ხოლო იმერეთიდან – მოლითის, ხარაგოულის და ლაშე-ღვერკის მოწაფეები. აგრეთვე მე-8 ჯგუფში პირდაპირ გადადიან ხაშურის 9 - წლედი სკოლის მეშვიდე ჯგუფის მოსწავლეები“.

20-იან წლებში, როგორც ირკვევა, საკმაოდ მძიმე იყო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თითქმის ყველა სკოლა მოითხოვდა სათანადო ყურადღებას. მიუხედავად ამისა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაინც სასურველ დონეზე მდგარა. ხაშურის IV შვიდწლიანი სკოლის შესახებ, 1925 წლის 26 აპრილს, სახალხო განათლების კომისარიატის ინსტრუქტორი გაბრიელ გოგუაძე აღნიშნავდა: „...ხაშურის ქალაქის შვიდწლედში სწარმოებს ენერგიული მუშაობა ახალი სკოლის პრინციპის მიხედვით და ეს იმ დროს, როდესაც სკოლა არის თითქმის სრულიად მოუწყობელი და ჩაყენებული მეტად არახელსაყრელ ნივთიერ პირობებში“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

# ლუკა მაისურაძის სახელობის ტურნირი ძიუდოში

ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში, ევროპის ჩემპიონის, მსოფლიო პრიზიორის და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის ლუკა მაისურაძის სახელობის ტურნირი გაიმართა

ხაშურის სასპორტო სკოლის აღზრდილს, წარმატებები მიულოცეს და

„დიდი პატივია ჩემი სახელობის ტურნირის გამართვა ხაშურის სასპორტო სკოლაში, ვეცდები, ყოველთვის გავამართლო თქვენი იმედები, მადლობას ვუხდი ხელმძღვანელობას მუდმივი მხარდაჭერისთვის და თანადგომისთვის“-აღნიშნა ლუკა მაისურაძემ.

ხაშურის სასპორტო სკოლაში მიმდინარე ტურნირში, სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, ტურნირი, 9 და 10 დეკემბერს გაიმართა, გამარჯვებულებმა კი შესაბამისი თასები და სიგელები მიიღეს.

მომავალში კიდევ უფრო დიდი წარმატებები უსურვეს, საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ჩოხოსანთა კავშირის წარმომადგენლებმა.

ტურნირის ორგანიზატორი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა, მხარდამჭერი-ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური.

# ლექცია თემაზე: „დიმიტრი ყიფიანი და ქალთა საკითხი”

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, დღეს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ლექცია თემაზე: „დიმიტრი ყიფიანი და ქალთა საკითხები” წაიკითხა სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის მოადგილემ მურად მთვარელიძემ.

მწერალმა თავის კვლევაში ისაუბრა დიმიტრი ყიფიანის ლექსზე „ქალი”, რომელშიც ავტორი მომოიხილავს ყველა დროის ცნობილ ქალებს, რომელთაც კვალი დატოვეს მსოფლიო ისტორიაში: ესენი არიან: მწერალი ქალები, რომელთა ნაწარმოებები თარგმნილი აქვს დიმიტრი ყიფიანს, მეფეები, წმინდანები. ლექსში ყურადღება გამახვილებულია ქალების მთავარ ღირსებებსა და თანასწორობაზე მამაკაცებთან, რაც კიდევ ერთხელ მეტყვლებს დიდი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის თანამედროვეობაზე.

ლექციას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდებულიძე, საკრებულოს აპარატის, მერიის, საპარლამენტო ბიუროსა და საზოგადოების წარმომადგენლები.

# ხაშურის სამუსიკო სკოლაში საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი გაიმართა

ხაშურელი მსმენელის წინაშე წარსდგა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, პროფესორი ვახტანგ (ვატო) ჟორდანია. შესრულებული იყო შუმანის და შოპენის ნაწარმოებები.

ვირტუოზი პიანისტის მიერ შესრულებულმა ნაწარმოებებმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭეს კლასიკური მუსიკის ხაშურელ მოყვარულებს.

კონცერტის მხარდამჭერი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

# "ხემსის სახლი" - ადგილი, რომელიც მომხმარებელთა ინტერესებზეა ორიენტირებული

ზუსტად ერთი წლის წინ, ჯერ კიდევ პანდემიის დროს, ხაშურელი მეწარმე, სოფია გოგინაშვილი და მისი ჩირის წარმოება გაგაცანით. ბევრი ცვლილების, სწავლის, განვითარების შემდეგ, წარმოებამ სახელიც იცვალა და ახლა "ხემსი", არა მხოლოდ ჩირის, არამედ ჩაის ნაირსახეობებსაც გვთავაზობს. და ეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი არაა. აღმაშენებლის №5 ნომერში, ერთი პატარა სივრცე, შორიდანვე იქცევს გამვლელების ყურადღებას. "ხემსის სახლი"-ყველაფერ იმას აერთიანებს,

რაც გიყვართ, საიდანაც თქვენი ბავშვობა-ბებიების ნახელავის არომატები მოდის და ეს ემოცია იწყება კარიდან. "ხემსის სახლს" ანალოგი არ აქვს საქართველოში. როგორი იყო წარმოების ერთი წელი, როგორ მივიდა მაღაზიის გახსნის იდეამდე, "ხემსის სახლის" დიასახლისი, სოფია გოგინაშვილი ისაუბრებს:

**- სოფია, პირველი ეტაპები რომ გაიხსენო, რა იყო, სანამ "ხემსის სახლამდე" მოხვიდოდი?**

–პირველი წელი იყო პროდუქციის შექმნის წელი, მიღების, გადამუშავების, ხარისხზე ორიენტირებულობის წელი. როდესაც ამას მივაღწიე, უკვე სხვა ეტაპზე გადავედი. თავდაპირველად, სეზონური ხილით დავიწყე, დაემატა სხვა სეზონური ხილი და პირველივე წელს, თითქმის სრული ასორტიმენტით ვიყავი წარმოდგენილი.. მეორე წლიდან, ახალი გამოცდილებით დავიწყე ყველაფრის კეთება, რომელიც მუშაობის პროცესმა მოგვიტანა, შეიცვალა სამოქმედო გეგმა, გავაფართოვე ასორტიმენტი და დავიწყე უკვე ხილის ჩაის წარმოებაც.

**- რა პროცესები გაიარე ერთი წლის განმავლობაში?**

–თავიდან, რადგან წარმოების პროცესზე ვიყავი უფრო მეტად კონცენტრირებული, ცოდნის დაგროვებით დავიწყე. „კრაფტ" მეწარმეობის აკადემია გავიარე, სადაც რამდენიმეთვიანი სწავლების და ტრენინგების პირობებში, ძალიან კარგი ცოდნა მივიღე. ჩავერთე რამდენიმე პროექტში, იუსაიდის ქალთა გაძლიერების პროგრამაში, სადაც დღემდე ვთანამშრომლობ, მიწვევენ გამოფენებზე და ხელს გვიწყობენ განვითარებაში ტრენინგებით და მიკროგრანტებით. წელს, სწორედ ამ პროგრამით, მიკრო გრანტი ავიღე და რამდენიმე დანადგარი მივიღე. შემდეგ იყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია „ფაო", რომელიც აქტიურად ჩაერთო ქალთა გაძლიერების პროექტში და გამოფენა-გაყიდვებში ვიღებთ მონაწილეობას, ვიღებთ გამოცდილებას მეწარმე ქალბატონები და ვაზიარებთ ინფორმაციებს. ზუსტად ამ პროცესებში მომიწია ყოფნა და ამან მომცა სტიმული, სხვა პროდუქციაც მომესინჯა და ეს იყო ჩაის შექმნა. ბევრი ძიების, გემოების პოვნის, დასმის შემდეგ, ერთი სახეობის ჩაიდან, რამდენიმე სახეობის ჩაიმდე მივედით. ამ ეტაპზე ,შვიდი სახეობის ჩაი მაქვს, ხილის, კენკრის, მცენარეული, ციტრუსის, ყურძნის და მიქსები-ყველა გემოვნების მომხმარებელს დააკმაყოფილებს "ხემსის" ჩაი. სარეალიზაციოდ, ჯერ-ჯერობით, ეტიკეტირება არ მაქვს გაკეთებული, მაგრამ ვმუშაობთ სამომავლოდ.

რაც შეეხება ჩირებს, მიუხედავად იმის, რომ თავდაპირველად, ასეთი დიდი ასორტიმენტით არ ვიყავი ბაზარზე წარმოდგენილი, ვეცადე ყველა ხილთან მქონოდა ურთიერთობა გამოცდილების მისაღებად. ამ ეტაპზე, მაქვს: შავი ქლიავი, ვაშლი, მსხალი, ხურმა, კერკი რამდენიმე სახეობის, ფეიხოა, ატამი და კომშის ჩირები. შევცვალეთ ბრენდინგი და სხვა სახელით და სხვა შეფუთვით ვართ წარმოდგენილი. თუმცა, სიახლეებს, არც ამ კუთხით გამოვრიცხავ სამომავლოდ.

**- "ხემსის სახლის" იდეა როგორ გაჩნდა?**

–ესეც მომხმარებლის მოთხოვნა იყო, სურვილი ჰქონდათ, მისცემოდათ შესაძლებლობა, ახლოდან გაცნობოდნენ პროდუქციას და აერჩიათ. ონლაინ გაყიდვებიდან, გადავწყვიტე, საკუთარი სახლი მქონოდა, "ხემსის სახლი". ვფიქრობ, მომხმარებლისთვისაც ძალიან კომფორტულია და ჩემთვისაც. ჩემი ინსპირაცია იყო ის, რომ იოგას სტუდიასთან ვიქნებოდი ტერიტორიულად ახლოს, ამ სტუდიასთან, ჩემი სამომავლო მიზნები მაქვს, პარტნიორობის კუთხით. აქედან, უკვე სერიოზულად დავიწყე ფიქრი ამაზე. ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო კარგად და გამოხატეს მხარდაჭერა.

**- მომხმარებლის რექცია როგორია, რა ხვდებათ აქ შემოსულებს?**

–ძალიან ბევრი მომხმარებელი შემოდის და არ იციან, სად არიან, ინფორმაცია არ აქვთ. მათი ემოცია, კარიდან იწყება. ათვალიერებენ, ეცნობიან პროდუქციას. პირველ რიგში, გვთავაზობთ ქართულ, ნატურალურ, ოჯახურ პროდუქციას, ჯანსაღს, ეკოლოგიურად სუფთას. ადგილობრივი გლეხების და ფერმერების მიერ წარმოებულს, რომელიც რეკომენდებულია ნებისმიერი ადამიანისთვის.

გარდა ჩირებისვ ჩაის, გვაქვს, ჩემი ხელით შექმნილი შავი ქლიავის საკმაზი, რომელიც არის გამორჩეული პიკანტური გემოებით, ქართული სუნელებით და ჩირებით და ძალიან უხდება ყველა ტიპის კერძს. იდეალურია ყველთან და ღვინოსთან. წარმოდგენილი გვაქვს ოჯახური ნაწარმი, ჩურჩხელები, მურაბები, სოფლის ნაწარმი: ნიგოზი, მჭადის ფქვილი, ტყლაპები, ტკბილი კვერები, ორცხობილები. ყოვედღიურად ვფიქრობ, ახალი გემოების შეთავაზებას, რომ ბევრი სიახლე დახვდეს მომხამრებელს. მართალია, წარმოება ჩემია, თუმცა ოჯახიც ჩართულია ამ პროცესში. გავაკეთე ლიმონის და მანდარინის მურაბა, რომელიც განსხვავებული და ძალიან პიკანტური გამოვიდა. სამომავლოდ, ვფიქრობ, წარმოებაში დამატებას.

**- მომხმარებელმა როგორ მიიღო სიახლე?**

–მომხმარებელმა დიდი სიხარულით მიგვიღო. ვისაც უყვარს და მოიხმარს, მათთვის გაჩნდა სივრცე, სადაც შეუძლია მოვიდეს და ის ხარისხი, ის გემოები მიიღოს, რაც უყვარს. შემოდიან, იზიარებენ ჩემს გამოცდილებას, ვსწავლობთ ერთმანეთისგან. მიუხედავად იმის, რომ ვაშლის და ქლიავის ჩირი ყველას გვაქვს სახლში, აღნიშნავენ, რომ ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ვედარ ახერხებენ თვითონ დაამზადონ და არჩევანს, არატრადიციულ, ქარხნულ წარმოებაზე აკეთებენ.

**- მოთხოვნილება როგორია, ამ ეტაპზე, როგორ ფიქრობთ, გაამართლა იდეამ?**

–პირველ დღეებში, აქტიურობა ძალიან დიდი იყო, მოდიოდნენ, ეცნობოდნენ, იძენდნენ. არიან ადამიანები, რომლებიც რამდენჯერმე ესტუმრენ და დღემდეც სტუმრობენ "ხემსის სახლს". წაიღეს საჩუქრად, საზღვარგარეთ გასაგზავნად. ეს პროცესი ყოველდღიურადაა. აკეთებენ სასაჩუქრე შეფუთვებს, სხვადასხვა ქვეყნებში გასაგზავნად. შემოდიან უცხო ადამიანები, რომლებმაც არ იციან, სად შედიან და გაოცებას ვერ მალავენ, როცა ასეთი გარემო ხვდებათ. ამ ეტაპისთვის, სტაბილურად გვყავს მომხმარებლები და ვფიქრობ, იდეამ და წამოწყებამ, ნამდვილად გაამართლა. თუმცა, ყველაფერი წინაა ჯერ.

**- საახალწლო სამზადისი შეინიშნება თქვენ სახლში.**

–რადგან წინ ახალი წელია, მიუხედავად იმის, რომ სასაჩუქრე შეფუთვები იქამდეც გვქონდა, გადავწყვიტეთ, მომხმარებლის გემოვნების მიხედვითაც ავაწყოთ, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ფასის. გვექნება კალათები, მუყაოს შეფუთვა, თაიგულის ფორმის შეფუთვა. ფასები მინიმალური თანხით დაიწყება. მაქსიმალურად ვცდილობ, ფასები დავარეგულირო, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. წინ ბევრი სიახლე ელოდება ჩემს მომხმარებელს, ვეცდები, აქ შემოსულს, ყოველთვის სასიამოვნო გარემო და ასორტიმენტის მრავალფეროვნება დახვდეს.

**"ხაშურის მოამბე", წარმატებას უსურვებს "ხემსის სახლს" და ყოველთვის იმ მეწარმეების გვერდითაა, რომლებმაც იდეა რეალობად აქციეს.**

თ. ჯავახიშვილი

D

## მადლობა

სოსო გელაშვილს!

მადლობა ღირსეულო ქართველო!

მადლობა ძლიერ ქირურგს.

მადლობა ხაშურის „გორმედის" საავადმყოფოს თანამშრომლებს ჩემი გადარჩენისთვის.

ბატონო სოსო ექიმო, 9 თვეში სამი რთული ოპერაცია გამიკეთეთ, იმედი აღარ მქონდა სახლში დაბრუნების. თქვენ დამაბრუნეთ ჩემს პატარა შვილიშვილებთან ჯანმრთელი, რომლებიც მოუთმენლად მელოდებოდნენ.

მადლობას ვუხდი შენს მშობლებს შენი ღირსეული კაცობის გამო.

ღმერთი ჰფარავდეს შენს ოჯახს, შენს ახლობლებს, მთელს საქართველოს.!

დიდი პატივისცემით,

პეტრე კაპანაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.